



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება N 90

6 იანვარი 2014 წელი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული სანაგვე კონტეინერებიდან ნარჩნების გასატანად საჭირო საწვავის (დიზელი) შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული სანაგვე კონტეინერებიდან ნარჩნების გასატანად საჭირო 300 ლიტრი საწვავის (დიზელი) შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 615 (ექვსას თხუთმეტი) ლარი;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სათანადო ხელშეკრულების მომზადება და თანხის გადარიცხვა.
3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:



/ვ. ჩოხელი/